ჯოჯოხეთის ბინადართაგან ორი ჯგუფი მე ჯერ არ მინახავს: პირველი, ხალხი, რომელთაც ხელში აქვთ საქონლის კუდებივით მათრახები, რომლითაც სცემენ ადამიანებს. მეორე, ქალები, რომლებიც ჩაცმულები არიან, მაგრამ ამავდროულად შიშვლები, აცდუნებენ სხვებს და თავადაც მიდიან მცდარ გზაზე

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჯოჯოხეთის ბინადართაგან ორი ჯგუფი მე ჯერ არ მინახავს: პირველი, ხალხი, რომელთაც ხელში აქვთ საქონლის კუდებივით მათრახები, რომლითაც სცემენ ადამიანებს. მეორე, ქალები, რომლებიც ჩაცმულები არიან, მაგრამ ამავდროულად შიშვლები, აცდუნებენ სხვებს და თავადაც მიდიან მცდარ გზაზე. მათი თავები იქნება როგორც დაკლაკნილი აქლემის კუზები. ისინი ვერ შევლენ სამოთხეში და ვერ იგრძნობენ მის სურნელს, თუმცა მისი სურნელი იგრძნობა ძალიან დიდი მანძილიდან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აფრთხილებს ჯოჯოხეთის ბინადართაგან ორ ჯგუფს, რომლებიც მის დროს არ არსებობდნენ და რომლებიც წარმოიშვებიან მის შემდეგ: პირველი ჯგუფი: ადამიანები, რომელთაც ხელში აქვთ საქონლის კუდებივით გრძელი მათრახები, რომლითაც უსამართლოდ სცემენ ხალხს. ესენი არიან ძალადობისა და უსამართლობის დამხმარეები და უსამართლო მმართველთა მორჩილი მსახურები, რომლებიც უსამართლოდ ავიწროებენ ადამიანებს. მეორე ჯგუფი: ქალები, რომლებმაც მოიშორეს სიწმინდისა და მორიდებულობის სამოსი, რაც ბუნებრივადაა ჩადებული ქალის ხასიათში. მოციქულმა ისინი შემდეგნაირად აღწერა: ჩაცმულები, მაგრამ შიშვლები. ეს ნიშნავს, რომ ისინი რეალურად ატარებენ ტანსაცმელს, თუმცა ეს სამოსი თხელი და გამჭვირვალეა, რაც სხეულის კანს აჩვენებს. ან ისინი ფარავენ სხეულის ნაწილებს, მაგრამ აჩენენ სხვებს, რათა თავიანთი სილამაზე გამოკვეთონ. ისინი აცდუნებენ მამაკაცთა გულებს თავიანთი ჩაცმულობითა და ამპარტავნული სიარულით. ასევე, თვითონაც მიდრეკილნი არიან გადახრისკენ, ხოლო სხვებსაც წააქეზებენ ცოდვისა და გზიდან გადახვევისკენ, როგორც თვითონ არიან მცდარ გზაზე. მათ მახასიათებლებში ერთ-ერთი არის: მათი თავები ჰგავს გადახრილ აქლემის კუზებს. ისინი ზრდიან თავების მოცულობას, აკეთებენ დიდი თმის კონებს ან იყენებენ გადასახვევებსა და სხვა საშუალებებს, რომ თავები უფრო დიდად გამოჩნდეს. შედარება აქლემის კუზებთან დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი(ქალების) თმა და ნაწნავები თავზე მაღლაა შემართული და ისეა აკეცილი, რომ ერთ მხარეს გადახრილი ჩანს, როგორც აქლემის კუზი იხრება მისი სხეულის რომელიმე მხარეს. ვინც ამ თვისებებს ფლობს, მათზე ვრცელდება ეს მკაცრი გაფრთხილება: ისინი ვერ შევლენ სამოთხეში, ვერც მის სურნელს იგრძნობენ და მას ვერც კი მიუახლოვდებიან. სამოთხის სურნელი კი ძალიან შორიდან იგრძნობა და შეიმჩნევა.